ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026–2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ოქმი N1

ქ. ამბროლაური 12.08.2025წ.

2025 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა **ზვიადი მხეიძე** - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით გოგლიძე – მერის პირველი მოადგილე – სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე;

თამარ ქევანაშვილი - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ბეჟან კობახიძე – საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;

გიორგი გოძიაშვილი - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

მარინე ჯაფარიძე - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

მიხეილ დალაქიშვილი - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ირმა ფრუიძე - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვნელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

სოფიო სხირტლაძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ბელა აბაიშვილი - შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ალეკო ქურციკიძე - არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანილი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ნათია კობახიძე - საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

ბაქარ ბაკურაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

მანანა გოგობერიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვთა უფლებების დასცვისა დამხარდაჭერის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი.

ირინა კერესელიძე - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ეკატერინე ლაშხი - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის კეთილმოწყობის განყოფილების ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

სიმონი ჭელიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

თენგიზ გელოვნიშვილი - საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

1. *ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი (ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით), რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2026-2029 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები), მოწონების შესახებ.*

ზვიადი მხეიძემ კენჭი უყურა, თუ ვინ არის მომხრე, დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრები თანახმა არიან, დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივლისის N385 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა ბეჟან კობახიძემ წარმოადგინა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

ბეჟან კობახიძის მიერ აღინიშნა, რომ არსებული საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია 2026-2029 წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

აღნიშნა, რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2026-2029 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიადი მხეიძემ სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე, მოწონებული იქნას სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2026-2029 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები. 2026-2029 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები განსაზღვრულია დანართი N1-ის შესაბამისად.

კენჭის ყრის შედეგად აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა: მოწონებული იქნას ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოოს საფინანსო სამსახურს, საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებსა და ა(ა)იპ-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.
2. მიმდინარე წლის 18 აგვისტომდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა და ა(ა)იპ-ებმა საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დაგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადი ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ზვიადი მხეიძემ სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: ზვიადი მხეიძე

თანათავმჯდომარე: დავით გოგლიძე

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი: ბეჟან კობახიძე

მდივანი: ნათია კობახიძე

სამუშაო ჯგუფის წევრები: თამარ ქევანაშვილი

მიხეილ დალაქიშვილი

ზელა აბაიშვილი

მარინე ჯაფარიძე

ალეკო ქურციკიძე

ირინა კერესელიძე

გიორგი გომიაშვილი

ირმა ფრუიძე

სოფიო სხირტლაძე

ბაქარ ბაკურაძე

მანანა გოგობერიშვილი